პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

1980 წელი
კვირა
24 აგვისტო
№ 195 (17838)
ფასი 2 კაპ.

დავნერგოთ შრომის ორგანიზაციის ბრიგადული ფორმა

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტში

საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა განიხილა შრომის ორგანიზაციისა და ანაზღაურების ბრიგადული ფორმის დანერგვის საქმეში თბილისის „ელმავალმშენებლის“ საწარმოო გაერთიანების მუშაობის გამოცდილება, რომელიც სოციალისტური შეჯიბრების ხელმძღვანელობის რესპუბლიკურმა კომისიამ შეისწავლა.

მიღებულ დადგენილებაში ნათქვამია, რომ გაერთიანებაში თანამიმდევრულად ხორციელდება ღონისძიებანი ისეთი ბრიგადების შესაქმნელად, რომლებიც მუშაობენ ერთიანი განწესით და შრომას ანაზღაურებენ მისი საბოლოო შედეგების მიხედვით.

გაერთიანებაში შრომის ორგანიზაციისა და ანაზღაურების ახალ ფორმაზე გადასვლის ინიციატორი გახდა კადრის მუშა, ნოვატორი კომუნისტი ამხ. ა. გელაშვილი., რომელმაც 1975 წლის ივლისში ერთ კომპლექსურ ბრიგადად გააერთიანა სხვადასხვა მცირერაცხოვანი სპეციალიზებული ბრიგადების წევრები, აგრეთვე ინდივიდუალურად მომუშავე ზეინკლები, შემდუღებლები, მბურღავები, ხარატი და მღარავი — სულ 26 მუშა, რომლებიც ელექტროშტაბელერების დეტალების დამზადებასა და კორპუსის აწყობაზე მუშაობდნენ, და ამით უზრუნველყო ლოკომოტივის კორპუსის გამოშვება ძირითადად ერთი პირველადი შრომითი კოლექტივის ძალებით — დეტალების დამზადებით დაწყებული და მისი სრული აწყობით დამთავრებული.

ასეთმა შრომის ორგანიზაციამ შესაძლებელი გახადა კორპუსის დამზადებისას ფართოდ გამოიყენებინთ მუშაობა მომჯნავე პროფესიების მიხედვით, მაქსიმალურად შეემცირებინათ სხვადასხვა პროფესიის მუშათა არათანაბარზომიერი დატვირთვა, ბრიგადის 26 წევრისაგან 11-ს ათვისებული აქვს ორი, ხოლო 10-ს სამი და მეტი პროფესია.

დაიხვეწა მუშათა შრომის დაგეგმვის სისტემა, რომელმაც შესაძლებელი გახადა გამომუშავების დიფერენცირებული ნორმებიდან გადასულიყვნენ კომპლექსურ ნორმებზე მხოლოდ საბოლოო შედეგების მიხედვით შრომის ანაზღაურებაზე, რის გამოც უფრო რაციონალურად გამოიყენება მშრომელთა უნარი. შრომის ორგანიზაციის ახალი ფორმის მეოხებით ამაღლდა აგრეთვე ბრიგადის წევრთა პასუხისმგებლობა და დაინტერესება მაღალხარისხოვანი პროდუქციის მიღებით, უფრო სრულად ვლინდება მათი შემოქმედებითი უნარი.

სოციალისტური შეჯიბრება გახდა შრომისადმი კომუნისტური დამოკიდებულების სულისკვეთებით ბრიგადის წევრთა აღზრდის უმნიშვნელოვანესი ქმედითი ფაქტორი, ვ. ი. ლენინის დამადების 110-ე წლისთავის ღირსეული შეხვედრისათვის ნაკისრი სოციალისტური ვალდებულებანი, რომლებითაც ბრიგადას გათვალისწინებული ჰქონდა აეთვისებინა და შეესრულებინა პლაზმური ჭრა, უზრუნველეყო ამ სამუშაოსათვის განკუთვნილი დანადგარის მოდერნიზაცია, წარმატებით შესრულდა, მიღწეულია წლიური ეკონომია 3,1 ათასი მანეთის ოდენობით.

ბრიგადამ რაციონალიზატორული წინადადების დანერგვით წელიწადში დაზოგა 5,2 ათასი მანეთი ღირებულების თითქმის 55 ტონა ლითონი.

გაერთიანების ადმინისტრაციამ, პარტიულმა და საზოგადოებრივმა ორგანიზაციებმა ტექნიკური, ახლნა-განმარტებითი და პროპაგანდისტული ხასიათის ღონისძიებათა კომპლექსის განხორციელების საფუძველზე უზრუნველყვეს, რომ ა. გელაშვილის ინიციატივისათვის მხარი დაეჭირა თერთმეტ ბრიგადას, რომლებიც 140-ზე მეტ კაცს აერთიანებს.

მუშაობის საბოლოო შედეგისათვის ანაზღაურების შრომის ორგანიზაციის ბრიგადულმა ფორმამ, ტექნოლოგიური ოპერაციების მარტივ და რთულ ციკლებად დაყოფის, ბრიგადის წევრთა კვალიფიკაციისა და უნარის შესაბამისად მათი შესრულების, ახალგაზრდა და გამოუცდელ მუშათა კვალიფიციური ზრდის ეადების შემცირების, კოლექტიური დამრიგებლობის დანერგვისა და სხვა პროგრესული მეთოდების გამოყენების შედეგად ბრიგადამ ლოკომოტივის კორპუსის დამზადების შრომატევადობა 21 პროცენტით შეამცირა, შრომის ნაყოფიერება გაიზარდა 26 პროცენტით, მუშათა საშუალო თვიური ხელფასი გადიდდა დაახლოებით 15 პროცენტით, 2,4-ჯერ ამაღლდა პროდუქციის ანარიბი თითოეულ კვადრატულ მეტრ საწარმოო ფართობზე და წლის განმავლობაში დამზადებული კორპუსების საშუალო თვიური რიცხვი 28-დან 1979 წელს 91-მდე გაიზარდა.

გაუმჯობესდა სხვა ბრიგადების ტექნიკურ-ეკონომიკური მაჩვენებლებიც, სადაც შრომის ნაყოფიერება ყოველწლიურად იზრდებოდა საშუალოდ 10 პროცენტით, ხოლო მის წევრთა საშუალო ხელფასი — დაახლოებით 7 პროცენტით.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა მოიწონა შრომის ორგანიზაციისა და ანაზღაურების ბრიგადული ფორმის დანერგვის საქმეში ამხ. ა. გელაშვილის კომპლექსური ბრიგადისა და მთლიანად თბილისის „ელმავალმშენებლის“ საწარმოო გაერთიანების მუშაობის გამოცდილება და ყველა უწყება-სამინისტროს, გაერთიანებასა და საწარმოს ურჩია უზრუნველყონ ამ გამოცდილების ფართო დანერგვა და გავრცელება შრომით კოლექტივებში.

პარტიულ, პროფკავშირულ, კომკავშირულ და სამეურნეო ორგანოებს დაევალათ ყოველნაირად გაავრცელონ თბილისის „ელმავალმშენებლის“ საწარმოო გაერთიანების გამოცდილება შრომით კოლექტივებში შრომის ორგანიზაციისა და ანაზღაურების ბრიგადული ფორმის დანერგვის უზრუნველსაყოფად. (საქინფორმი).

ორბიტის ახალი ამბები

ფრუნზის მართვის ცენტრი, 22 აგვისტო. (საკადესი). ლეონიდ პოპოვი და ვალერი რიუმინი განაგრძობენ დაგეგმილ კვლევასა და ექსპერიმენტებს „სალუტ-6“ — „სოიუზ-37“ ორბიტულ კომპლექსში.

დღეს პროგრამაშია ცალკეული ხელსაწყოებისა და მოწყობილობის შეკეთებისა და პროფილაქტიკის სამუშაოები, ველოერგომეტრზე და „მრბენ“ ბილიკზე ფიზიკური ვარჯიში, დედამიწის ზედაპირის ვიზუალურ-საინსტრუმენტო დაკვირვება და ფოტოგრაფირება ბუნებრივი რესურსების გამოკვლევისა და გარემოს შესწავლის პროგრამით. დღის პირველ ნახევარში ეკიპაჟი ფოტოფირზე იღებდა კასპიის ზღვასა და კასპიისპირა დაბლობს.

20 და 21 აგვისტოს მკფ-6მ და კატ-140 აპარატურით გადაიღეს ქვეყნის ევროპული ნაწილის სამხრეთის, კავკასიის, უზბეკეთისა და შორეული აღმოსავლეთის ცალკეული რაიონები.

კოსმოსური მასალათმცოდნეობის პროგრამით მოეწყო კიდევ ორი ექსპერიმენტი დანადგარ „კრისტალზე“ უწონობის პირობებში ნახევარგამტარი მასალების მონოკრისტალების მიღების მიზნით. დამთავრდა აგრეთვე ტექნოლოგიური ექსპერიმენტი, რომელიც ერთად მოამზადეს საბჭოთა კავშირისა და უნგრეთის სახალხო რესპუბლიკის მეცნიერებმა.

ლეონიდ პოპოვი და ვალერი რიუმინი ჯანმრთელად არიან და თავს კარგად გრძნობენ.

მიფრინავს „კოსმოს-1207“

1980 წლის 22 აგვისტოს საბჭოთა კავშირში გაუშვეს დედამიწის მორიგი ხელოვნური თანამგზავრი „კოსმოს-1207“.

თანამგზავრზე დადგმული სამეცნიერო აპარატურა განაგრძობს დედამიწის ბუნებრივი რესურსების კვლევას სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის სხვადასხვა დარგისა და საერთაშორისო თანამშრომლობის ინტერესებისათვის. აპარატურა ნორმალურად მუშაობს. მიღებული ინფორმაცია დასამუშავებლად და გამოსაყენებლად გადაეცა საბჭოთა სამეცნიერო-კვლევითს და საწარმოო ცენტრ „ბუნებას“. (საკადესი).

სკკპ XXVI ყრილობის შესახვედრად

სკკპ ცენტრალური კომიტეტში

სკკპ ცენტრალური კომიტეტი, რომელმაც განიხილა შედეგები 1980 წლის ივლის-აგვისტოში ყირიმში გამართული შეხვედრებისა, რომლებშიც მონაწილეობდნენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ლ. ი. ბრეჟნევი და უნგრეთის სოციალისტური მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი ი. კადარი, ჩეხოსლოვაკიის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანი, ჩეხოსლოვაკიის სოციალისტური რესპუბლიკის პრეზიდენტი გ. ჰუსაკი, პოლონეთის გაერთიანებული მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი ე. გერეკი, ბულგარეთის სამეცნიერო სოციალისტური რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს თავმჯდომარე ტ. ჟივკოვი, გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანი, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს თავმჯდომარე ე. ჰონეკერი, ავსტრიის სახალხო-რევოლუციური პარტიის ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანი, ავსტრიის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ჰ. ფომბიხანი, მონღოლეთის სახალხო-რევოლუციური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი, მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკის დიდი სახალხო ხურალის პრეზიდიუმის თავმჯდომარე ი. ცედენბალი, მაღალ შეფასებას აძლევს ამ შეხვედრების მნიშვნელობას ყველა დარგში სოციალისტური სახელმწიფოების ურთიერთმოქმედების გაღრმავებისათვის და სავსებით იწონებს ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის მიერ გაწეულ მუშაობას.

საბჭოთა კავშირ-ვიეტნამის უმაღლესი დონის მოლაპარაკებასთან ერთად, რომელიც მიმდინარეობს წლის ივლისის დამდეგს გაიმართა მოსკოვში, 1980 წლის ყირიმის შეხვედრები ახალი დონის ეტაპი გახდა სოციალისტური თანამეგობრობის განმტკიცების საქმეში.

ყირიმის შეხვედრების დროს მხარეებმა საფუძვლიანად განიხილეს მომმე სოციალისტურ ქვეყნებთან სსრ კავშირის ორმხრივი ურთიერთობის მდგომარეობა და მისი განვითარების პერსპექტივები. მომავალ წლებში დასახულია განხორციელდეს მნიშვნელოვანი ღონისძიებანი სოციალისტური სახელმწიფოების თანასწორუფლებიანი ურთიერთხელსაყრელი ეკონომიკური თანამშრომლობის შემდგომი გაფართოებისათვის. ამასთან განსაკუთრებული ყურადღება დაეთმობა სახალხო-სამეურნეო კავშირურთიერთობის ფუძეტიანობას, წარმოების სპეციალიზაციისა და კოოპერაციის როლის ამაღლებას შეთანხმებული ინვესტიციადანი პროგრამების საფუძველზე. ეს დაკავშირურთიერთობა სტიმულს მისცემს ეროვნული ეკონომიკების განვითარებას, ხელს შეუწყობს ხალხის კეთილდღეობის გაუმჯობესებას, სოციალისტური და კომუნისტური მშენებლობის ამოცანების გადაწყვეტას.

შრომის საერთაშორისო სოციალისტური დაყოფის სრულყოფა და გაღრმავება, ეკონომიკური ურთიერთდახმარების საბჭოს ფარგლებში სოციალისტური ეკონომიკური ინტეგრაციის პროცესის თანამიმდევრული განხორციელება, ერთმანეთთან ურთიერთობის განვითარება — ეს ამოცანების უტყუარი მარშრუტი სოციალისტური სახელმწიფოების სოციალურ-ეკონომიკური განვითარების ახალი მწვერვალებისაკენ.

1980 წლის ყირიმის შეხვედრები, ისევე როგორც პოლონეთის დედაქალაქში წინათ გამართული ვარშავის ხელშეკრულების მონაწილე სახელმწიფოთა პოლიტიკური საკონსულტაციო კომიტეტის თათბირი, დამაჯერებლად ადასტურებს, რომ სოციალიზმის ქვეყნები თავიანთ საგარეო პოლიტიკაში ყველაზე მაღლა აყენებენ მშვიდობის შენარჩუნებისა და განმტკიცების ინტერესებს, ხალხთა თავისუფალი და დამოუკიდებელი განვითარების უფლებების დამკვიდრებას.

დაძაბულობის შენელების განვითარება, მისთვის ახალი სულის შთაბერვა, გამალებული შეიარაღებიდან განიარაღებისაკენ რეალური შეგობრუნების უზრუნველყოფა, არსებული საკონფლიქტო სიტუაციების სამართლიანი პოლიტიკური მოწესრიგების მიღწევა — ასეთია მთავარი ამოცანები, რომელთა გადაწყვეტას ემსახურება სოციალისტური თანამეგობრობის ქვეყნების საგარეო პოლიტიკა.

საერთაშორისო ვითარება კვლავ რთულია. ამის მიზეზია ამერიკის შეერთებული შტატებისა და ნატოს სხვა ქვეყნების მოქმედება, რომლებმაც განიზრახეს დაარღვიონ სამხედრო ძალების დაახლოებითი თანასწორობა, მოიპოვონ უპირატესობა სოციალისტურ თანამეგობრობასთან შედარებით. საერთაშორისო ურთიერთობაზე ნეგატიურ გავლენას ახდენს იმპერიალისტების და ჰეგემონისტების პარტნიორობა, რომელთაც სწადიათ კიდევ უფრო გაამწვავონ საერთაშორისო დაძაბულობა თავიანთი დიდმპყრობელური შოვინისტური ზრახვების განსახორციელებლად.

სოციალისტური ქვეყნები იღვწიან სხვადასხვა სოციალური სისტემის სახელმწიფოთა პოლიტიკური დიალოგის განგრძობისა და გაღრმავებისათვის, ისინი იმის მომხრენი არიან, რომ დიალოგს ჰქონდეს საგნობრივი საქმიანი ხასიათი, მოიცავდეს თანამედროვე საერთაშორისო ცხოვრების კარდინალურ პრობლემებს. არ არსებობს ისეთი პრობლემები ევროპაში, აზიაში, მსოფლიოს სხვა ნაწილებში, რომელთა მოწესრიგება სოციალისტურ ქვეყნებს არ სურდეთ მოლაპარაკების მაგიდასთან.

ასე უდგებიან სოციალისტური ქვეყნები განიარაღებასაც — ჩვენი დღეების საკვანძო პრობლემას.

გამალებული შეიარაღების შეწყვეტა შესაძლებელია. ცნობილია, რომ საბჭოთა კავშირმა წამოაყენა დიდი ინიციატივები, როგა დასახა წინადადება, დაუყოვნებლივ დაიწყონ მოლაპარაკება ევროპაში საშუალო სიშორის რაკეტულ-ბირთვული იარაღის შესახებ ამერიკის მონინავე ბაზირების ბირთვულ საშუალებებთან ორგანული კავშირით. სსრ კავშირმა ცენტრალურ ევროპაში შეიარაღებული ძალებისა და შეიარაღების შემცირების მოლაპარაკებაზე წამოაყენა კონკრეტული წინადადებანი, რომლებიც ითვალისწინებენ ამ მოლაპარაკების დასავლელ მონაწილეთა პოზიციას.

დასავლეთის პოზიტიური გამოხმაურება ახალ საბჭოთა ინიციატივებზე, მისი მზადყოფნა სამხედრო დაძაბულობის შენელებისათვის გზას გაუსწინდა გამალებული შეიარაღების რეალურ შეზღუდვას სტიმულს მისცემდა ამ მიმართულებით უფრო შორსგამიზნული ღონისძიებების შემუშავებასა და განხორციელებას.

ყირიმში მკაფიოდ დადასტურდა სოციალისტური თანამეგობრობის ქვეყნების კონსტრუქციული მიდგომა მომავალი მადრიდის შეხვედრისადმი. მადრიდში მთავარი ყურადღება უნდა დაეთმოს ჰელსინკში მიღებული საბოლოო აქტის ყველა ნაწილის დებულებების რეალიზაციის პრაქტიკული ღონისძიებების შეთანხმებას. განსაკუთრებული მნიშვნელობა ექნებოდა სამხედრო დაძაბულობის შენელებისა და განიარაღების თაობაზე სრულიად ევროპის კონფერენციის მონაწილის შესახებ თანხმობის მიღწევას.

სოციალისტური თანამეგობრობა მიზანმიმართულად იღვწის ყველა ხალხის დამოუკიდებლობისა და ეროვნული სუვერენიტეტის განმტკიცებისათვის.

მომმე ქვეყნები სოლიდარობას უცხადებენ ავღანეთის აპრილის რევოლუციას, რომლის მონაპოვრთა მოსპობას ლამობენ ისინი, ვინც ანყობს კონტრრევოლუციურ ინტერვენციას, ცდილობს ჩაერიოს ამ დამოუკიდებელი მიუმხრობელი სახელმწიფოს საშინაო საქმეებში. ავღანეთის გამო შექმნილი სიტუაციის პოლიტიკური მოწესრიგება — მისკენ მიმავალი გზა კი დასახულია ავღანეთის დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის ცნობილ წინადადებებში — უთუოდ მოახდენს პოზიტიურ გავლენას ვითარებაზე ამ ზონაში, ხელს შეუწყობს მსოფლიო პოლიტიკური კლიმატის გაუმჯობესებას. ამას დაბრკოლებებს უქმნიან ამერიკის შეერთებული შტატები, აგრეთვე ჩინეთი, რომლებიც იყენებენ ამ მიზნით უნინარეს ყოვლისა პაკისტანს და ხელოვნურად ამწვავებენ დაძაბულობას ავღანეთის დემოკრატიული რესპუბლიკის გამო.

ყირიმის შეხვედრების დროს მხარეებმა გამოთქვეს შეშფოთება სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიაში ვითარების გართულების გამო. ვიეტნამის, ლაოსისა და კამპუჩიის მეცადინეობა, რომლის მიზანია სამხრეთ-აღმოსავლეთ აზია გადაიქცეს მშვიდობისა და სტაბილურობის ზონად, შეესაბამება ამ რეგიონის ყველა სახელმწიფოს ინტერესებს. ამ მეცადინეობას არ შეიძლება ენერგიულად არ დაუჭირონ მხარი მომმე სოციალისტურმა სახელმწიფოებმა.

1980 წლის ყირიმის შეხვედრები უთუოდ აამაღლებენ სოციალისტური სახელმწიფოების საგარეო პოლიტიკის კოორდინაციის დონეს. ამ შეხვედრებზე დაზუსტდა კონკრეტული მიზნები, რომელთა მიღწევას მოხმარდება კიდევაც მეგობარი ქვეყნების შეთანხმებული მეცადინეობა.

სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა დაავალა შესაბამის უწყებებსა და დანესებულებებს შესასრულებლად მიიღონ პრაქტიკული ამოცანები, რომლებიც განისაზღვრა მომმე პარტიებისა და სახელმწიფოების ხელმძღვანელებთან ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის ყირიმის შეხვედრების დროს.



მშენებელთა გამარჯვება

სრული სვლით წარმოებს რუსთავის ქიმიური ქარხნის რეკონსტრუქცია. სამუშაოთა ფრონტი 30 ჰექტარზე გაიშალა. ფაქტობრივად ძველი ქარხნის ტერიტორიაზე იბადება ახალი საწარმო, რომელიც გამოუშვებს მინერალურ სასუქებს. მის მშენებლობაზე მუშაობს დაახლოებით ორი ათასი კაცი. მშენებლებმა და მემონტაჟეებმა ვადამდე გადაალახეს საექსპლოატაციოდ სამი ახალი საამქრო და ყოველდღიურად ზრდიან სამუშაოთა ტემპს.

სურათებზე: მიმდინარეობს სატრანსბმისიო შახტის დამონტაჟება რუსთავის ქიმიურ ქარხანაში; მაგული ტუღუში ამონიუმის წარმოების ცენტრალური სამართავი პუნქტის ერთ-ერთი საუკეთესო ოპერატორია; რუსთავის ქიმიური ქარხნის მუშაკები განიხილავენ მანგანუმის ელექტროლიზური ორჟანგის წარმოების მშენებლობის სამუშაოთა მსვლელობას.

ფ. კრიმსაპის ფოტო (საქინფორმის ფოტოქრონიკა).

ბათუმი

„სკკპ XXVI ყრილობას — ოცდაექვსი დამკვრელური კვირა!“ — ბათუმის გემთსაშენებელი ქარხნის ამწყობთა ამ მოწოდებას მხარი დაუჭირეს აჭარის ყველა საწარმოში. შრომისადმი სანმუშო კომუნისტური დამოკიდებულებით გამოირჩევიან თაოსნობის ინიციატორები. ყოველი კვირის დამლევს გემთამშენებლები აჯამებენ მუშაობის შედეგებს. დავალების 140 პროცენტი — აი მათი გარჯის სტაბილური შედეგი.

მაღალნაყოფიერ შრომაში ეხმარება მეხომალდეებს შეჯიბრების შედეგების შეჯამების ქულობრივი სისტემა.

ყველა მაჩვენებლის მიხედვით პირველ ადგილზე უცვლელად გადიან პატრიოტული თაოსნობის ინიციატორები — საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატის ი. ჟურავსკის კომპლექსური ბრიგადის გემთამშენებლები.

სიღნაღი

რაიონის ხირსის ღვინის მარნის კარი აჭრიალდა. აქ წლევანდელი რთველის პირველი მოსავალი წითელწყაროს რაიონის სოფელ ოზაანის კოლმეურნეობის იმ ბრიგადამ მიიტანა, რომელსაც გ. ბენაშვილი ხელმძღვანელობს.

გამოცდილმა მევენახეებმა ლ. ოზაშვილმა, ბ. ჰაპუაშვილმა, ე. მეხრიშვილმა, ი. ოზაშვილმა და სხვებმა ვაზიც და ყურძენიც მოძალებული გვალვისაგან გადაარჩინეს, რწყვა, ფურჩვნა და წამლობა არ მოაკლეს და შედეგიც კარგია — ჰექტარზე საშუალოდ 90-100 ცენტნერ ყურძენს კრეფენ.

მარტო გუშინ, რთველის პირველ დღეს, ბრიგადამ მოკრიფა და სახელმწიფო მარანს ჩაბარა 10 ტონა მაღალხარისხოვანი ყურძენი. უხვ მოსავალს მოელიან კოლმეურნეობის სხვა ბრიგადებიც. (ხაკ. კორ.).

დავით გურამიშვილის დაბადების 275-ე წლისთავისათვის

საიუბილეო კომისიის სხდომა



საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილის ო. ჩერქეზიას თავმჯდომარეობით გაიმართა დიდი ქართველი პოეტის, ხალხთა მეგობრობის მეგზებარე მეხოტბის დავით გურამიშვილის დაბადების 275-ე წლისთავის აღმნიშვნელი საიუბილეო კომისიის სხდომა. ო. ჩერქეზიამ ილაპარაკა მოსამზადებელ მუშაობაზე, რომელსაც ეწევა საკავშირო საიუბილეო კომისია ა. სურკოვის თავმჯდომარეობით. ამ თარიღის აღსანიშნავი ზეიმობა ოქტომბერში გაიმართება მოსკოვში. 20 ოქტომბერს კავშირების სახლის სვეტებიან დარბაზში მოეწყობა საიუბილეო საღამო, ხოლო მეორე დღეს ლიტერატორთა სახლში გაიმართება პოეზიის დიდი საღამო.

დავით გურამიშვილის იუბილე ფართოდ აღინიშნება უკრაინაში.

მოისმინეს აგრეთვე ინფორმაციები რესპუბლიკური საიუბილეო კომისიის მიერ დასახულ ღონისძიებათა შესრულების მიმდინარეობის შესახებ. სხდომაზე გამოვიდნენ კომისიის წევრები გ. აბაშიძე, ი. ციციშვილი, ს. ცაიშვილი, ა. დვალიშვილი, ნ. გურეშიძე, ი. ნონეშვილი, გ. ეორეოლიანი, აგრეთვე საქართველოს სსრ გამსახკომის თავმჯდომარის მოადგილე ე. სიხარულიძე, რესპუბლიკის სახტელევიზიოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე ა. სანგლიძე, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ხალხთა მეგობრობის მუზეუმის დირექტორი თ. ბაღურაშვილი, საქართველოს მწერალთა კავშირთან არსებული მხატვრული თარგმანისა და ლიტერატურულ ურთიერთობათა მთავარი სარედაქციო კოლეგიის მთავარი რედაქტორი ო. ნოდია, პარტიის მცხეთისა და კასპის რაიკომების მეორე მდივნები ზ. ანთაძე და ე. შაველაშვილი, ხაშურის სახალხო დეპუტატთა რაისაბჭოს აღმასკომის თავმჯდომარის მოადგილე ე. სიხარულიძე, რესპუბლიკის სახტელევიზიოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე ა. სანგლიძე, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ენიმანეთ ბაგრატიონ-მუხრანელ ბატონიშვილთა ინსტიტუტის ლ. ბერაძე, ბ. ბერეკაშვილი, ბ. ბერეკაშვილ-ბერეკეთელი, ბ. ბერეკაშვილ-ბერეკეთელ-ბოლოკაძე, ბ. ბერეკაშვილ-ბერეკეთელ-ბოლოკაძე-ბერეკეთელ-ბოლოკაძე-ბერეკეთელ-ბოლოკაძე

საერთაშორისო ცხოვრება
დღეს ამ ნომერში
ბიბლიოთეკა

პარტიის ყრილობას — ღირსეული შეხვედრა

გაიმართა საქართველოს კომპარტიის საოლქო, საქალაქო და რაიონული კომიტეტების მდივნებისა და აგიტაცია-პროპაგანდის განყოფილებათა გამგეების სკოლის მორიგი მეცადინეობა „იდეოლოგიური, პოლიტიკურ-აღმზრდელობითი მუშაობის შემდგომი გაუმჯობესების შესახებ“ სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილების შესაბამისად იდეურ-აღმზრდელობითი მუშაობის თეორიის, მეთოდიკისა და პრაქტიკის აქტუალურ პრობლემათა შესასწავლად, რომელიც მიეძღვნა სკკპ XXVI ყრილობისა და საქართველოს კომპარტიის XXVI ყრილობისათვის მზადების საკითხებს.

მოხსენება „პარტიული კომიტეტების ამოცანები სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1980 წლის ივნისის პლენუმის, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის XXI პლენუმის და რესპუბლიკის პარტიული აქტივის კრების გადაწყვეტილებათა შესაბამისად იდეოლოგიური მუშაობის შემდგომი გაუმჯობესების საქმეში“ — გააკეთა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პროპაგანდისა და აგიტაციის განყოფილების გამგემ ვ. ქარუმიძემ.

საქართველოს პროფსაბჭოს მდივანმა ზ. კვაჭაძემ თავის გამოსვლაში თქვა, რომ სკკპ XXVI ყრილობისა და საქართველოს კომპარტიის XXVI ყრილობისათვის მზადების პერიოდში უნდა გაძლიერდეს პოლიტიკურ-აღმზრდელობითი მუშაობის დარგში პროფკავშირული ორგანიზაციებისადმი პარტიული კომიტეტების ხელმძღვანელობა. საბჭოთა საქართველოს მე-60 წლისთავისადმი მიძღვნილი მხატვრული თვითმოქმედების რესპუბლიკური ოლიმპიადისათვის მზადების მიმდინარეობა გააცნო შეკრებილთ საქართველოს სსრ კულტურის მინისტრის პირველმა მოადგილემ ი. გამრეკელმა.

შემდეგ გამოვიდნენ საქართველოს კომპარტიის ქ. თბილისის ლენინის რაიკომის მეორე მდივანი ქ. ლაცაბიძე, საქართველოს კომპარტიის ქარელის რაიკომის პროპაგანდისა და აგიტაციის განყოფილების გამგე ლ. ქერეფაშვილი, საქართველოს კომპარტიის ხაშურის რაიკომის მდივანი ე. გელაშვილი და სხვები, რომლებმაც ილაპარაკეს, თუ როგორ წარმართავენ ცალკეული პარტიული კომიტეტები მუშაობას ქვეყნისა და რესპუბლიკის კომუნისტთა უმაღლესი ფორუმების ღირსეულად შეხვედრისათვის. (საქინფორმი).

პარტიული ცხოვრება: მიმდინარეობს ანგარიშგება-არჩევნები

თამილა აბზიანიძე სულ ახლახან, 5 აგვისტოს მიიღეს სკკპ წევრობის კანდიდატად. საშუალო სკოლის დამთავრებისთანავე 1976 წელს დედამ, ლარისა გალდავამ იგი ქუთაისის ბამბეულის საწარმოო გაერთიანების მეთაური საწარმოს მოსამზადებელ საამქროში მიიყვანა და გადამხვევის პროფესია შეასწავლა. მუშური ტრადიციების ოჯახში აღიზარდა თამილა. მამა დურუ აბზიანიძე საავტომობილო ქარხნის სამეცადინო საამქროში მუშაობს, უფროსი და ნარგიზა რეზინტექნიკურ ნაკეთობათა ქარხანაში კონტროლიორია, უმცროსი და შიდეა კი ტრიკოტაჟის ფაბრიკის მკერავეა. ასე რომ, შრომისმოყვარე ქალიშვილს არ გაჭირვებია გადამხვევის პროფესიის დაუფლება. მალე გბიწაფა, დოსტატება, ტოლ არავის უდებს შრომაში. საამქროს უფროსს რევაზ ქარაზანაშვილს რომ ჰკითხოთ, მოწინავეა საწარმოო დისციპლინის დარღვევები? ყველფერს რომ არ ლონობენ საწარმოში მოსული ახალგაზრდების შენარჩუნებისათვის, რომ ჯერ კიდევ ბევრი ნაკლოა მშრომელთა კვების, საყაჩო და საყოფაცხოვრებო მომსახურების საქმეში? — ერთი სიტყვით, სალაპარაკო და საკამათო არის.

მოსამზადებელ საამქროში, თქვა მომხსენებელმა, საამქრო პარტორგანიზაციის მდივანმა ინგა ჩოგოვაძემ, 1975 წელს მხოლოდ 95 კაცი მუშაობდა, ახლა კი მისი კოლექტივი 200 კაცს აერთიანებს. იზრდება საამქრო და შესაბამისად იზრდება მის წინაშე მდგომი ამოცანებიც.

...და მომხსენებელმა მოიყვანა ციფრები, ფაქტები, რომლებიც საანგარიშო პერიოდში საამქროს წინსვლაზე მეტყველებს. მაგრამ მოხსენებაში მაინც მთავარი ადგილი ნაკლოვანებებს, ჯერ კიდევ გადაუჭრელ პრობლემებს დაეთმო. მოხსენების ეს ტონი ჟრებაზე გამოსული კომუნისტების სიტყვებშიც იგრძნობოდა. თამილა აბზიანიძე თითქმის ვეღარ ცნობდა თანამოსაქმე კომუნისტებს, ისინი გაბედულად აყენებდნენ საკითხებს, პირუთვნელად აკრიტიკებდნენ გაერთიანების ხელმძღვანელობას, პარტიულ, საპირისპიროდ, რაიონულ და საქალაქო ორგანიზაციებს. ასეთი იყო, თუ გნებავთ, მჭესელავების მ. ჯიშკარიანისა და ი. ნემსიწვერიძის, გადამხვევების თ. მემარნიშვილის, დ. სილაგაძის და ნ. უგლავის, საწარმოო სწავლების ინსტრუქტორის მ. ჭავჭავაძის, საამქროს უფროსის რ. ქარაზანაშვილის, უფროსი ოსტატის რ. ნიქაბაძის გამოსვლები.

როგორც აღინიშნა, წარმატებათა ფონზე ჯერ კიდევ შავ ლაქებად შეიმჩნევა შრომისა და საწარმოო დისციპლინის დარღვევათა ფაქტები. მარტო მიმდინარე წლის 7 თვეში საამქროში უმიზეზოდ გაცდენილია 28 კაცდღე, ამასთან ეს ციფრი არ ასახავს ნამდვილ ვითარებას, შრომის დისციპლინის ყველა დარღვევა რიდია აღრიცხული. განა სუსტ დისციპლინაზე არ მეტყველებს ის ფაქტი, თქვეს კრების მონაწილეებმა, რომ საწარმოო დისციპლინის დარღვევისათვის პრემია შეუმცირდა 14 მუშას, მათ შორის უტაბელო მუშაობისათვის ე. ძოწენიძეს და ზ. აიკაზოვს, ცძიგრაშვილს — წუნიანი ნახევარფაბრიკატების გამოშვებისათვის, ქვეოსტატებს თ. ლაცაბიძეს და ჯ. ჭილაძეს — დაზგების ტექნიკური გაუმართაობისათვის.

უდისციპლინო მუშაკი უნდა დასაჯოს, ამბობდნენ ისინი, და ეს ასეც ხდება, მაგრამ უმჯობესი არ იქნება, თუ თავიდანვე ვიზრუნებთ ამისათვის, რომ არ იყოს დარღვევები? საწარმოო დისციპლინის დარღვევის ყოველი ფაქტი ხომ პირდაპირ გავლენას ახდენს პროდუქციის ხარისხზე! ამატომაც კრებამ სწორად დააყენა საკითხი, რომ საჭიროა ამაღლდეს კომუნისტთა პირსონალური პასუხისმგებლობა საერთო საქმისათვის.

კრებაზე დიდი ყურადღება დაეთმო კადრებთან მუშაობის, ახალგაზრდა მუშებისადმი ყურადღებიანი დამოკიდებულების საკითხებს.

როგორც კრებაზე აღინიშნა, სოციალისტური შეჯიბრება ბევრ შემთხვევაში ფორმალურ ხასიათს ატარებს.

მოხსენებასა და გამოსვლებში დიდი ადგილი დაეთმო პარტიულ-პოლიტიკური და ორგანიზაციული მუშაობის საკითხებს. აღინიშნა, რომ ყველა კომუნისტი ერთნაირად არ იბრძვის თავისი იდეური ცოდნის დონის ამაღლებისათვის, ზოგიერთები არ გამოირჩევიან საზოგადოებრივი აქტიურობით. მწვავედ ილაპარაკეს აგრეთვე პარტიის რიგების ზრდის, ახალგაზრდა კომუნისტებთან მუშაობის გაუმჯობესების, კომკავშირული ორგანიზაციისადმი პარტიული ხელმძღვანელობის დონის ამაღლების, ძირეული პრესის მუშაობის საკითხებზე.

საამქრო პარტორგანიზაციის საანგარიშო-საარჩევნო კრების მუშაობაში მონაწილეობდა პარტიის ქუთაისის ავტოქარხნის რაიკომის პირველი მდივანი ნ. ავალიანი.

...აღფრთოვანებული გამოვიდა კრებიდან პარტიის წევრობის კანდიდატი თამილა აბზიანიძე. მან ჭეშმარიტად მხოლოდ ახლა იგრძნო საამქროს პარტიული ბირთვის ძალა, იგრძნო, რომ მასზე და მის ამხანაგებზე ძალიან ბევრი რამ არის დამოკიდებული...

დ. გედენიძე,
„კომუნისტის“ ხაკ. კორ.

ახალბედა საამქროში მოვიდა...

ახალგაზრდა კომუნისტის ფიქრები საამქრო პარტიული ორგანიზაციის კრებაზე და კრების შემდეგ

თა შორის პირველს თამილა აბზიანიძეს დაგისახელებთ. იგი ცხელაში 96 კილოგრამის ნაცვლად 105-110 კილოგრამ ნართს აბიჯებს.

...იმ დღეს, როცა უთხრეს საამქროს პარტორგანიზაციის საანგარიშო-საარჩევნო კრება უნდა გაიმართოსო, თამილას განსაკუთრებული მღელვარება დაეუფლა. ეს ხომ პირველი საანგარიშო-საარჩევნო პარტიული კრება იყო მისთვის. რა მოხდება კრებაზე, როგორ დააყენებენ საკითხებს თანამოსაქმე კომუნისტები? პირუთვნელი და მკაცრია პარტორგანიზაციის მდივანი ინგა ჩოგოვაძე, მას არც სხვები უდებენ ტოლს პრინციპულობაში. საინტერესოა, როგორც წარიმართება კრება, რომელსაც იგი პირველად ესწრება...

საამყო და თავმოსაწონი ბევრია, ფიქრობს თამილა. ცუდი მაჩვენებლები არა აქვთ საწარმოში, სადაც ბამბის ქსოვილისაგან საავიჯო დეკორატიულ, სალებისპირე, საპირსახოცე, საფარდე და სხვა ქსოვილებს ამზადებენ. წლევანდელი წლის მთლიანი პროდუქციის გამოშვების 7 თვის დავალება საწარმოს კოლექტივმა 102,2 პროცენტით შეასრულა, ხოლო რეალიზაციისა — 100,2 პროცენტით. გეგმის გადამეტებით აქ 210 ათასი მანეთის პროდუქცია აწარმოეს, წლიური ვალდებულება კი 100 ათასი მანეთისას ითვალისწინებდა. წარმოების მოცულობა წინა წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით 13,9 პროცენტით გაიზარდა. თუ 1975 წელს ძირითადი საწარმოო ფონდის ერთ ჟვედრაზეულ მეტრზე აქ 1391 მანეთის პროდუქცია აწარმოეს, ახლა ამ მაჩვენებელმა 1894 მანეთის გადააჭარბა. მნიშვნელოვანი წარმატებანია მოპოვებული შრომის ნაყოფიერების ზრდის, პროდუქციის თვითღირებულების შემცირების საქმეში. მოგების გეგმა საწარმოს კოლექტივმა 105,2 პროცენტით შეასრულა.

მთავარი კი მაინც პროდუქციის ხარისხია. ახლა აქ 6 დასახელების ხარისხისნიშნიან პროდუქციას აწარმოებენ. მისი ხვედრითი წილი მთლიან პროდუქციაში 23,2 პროცენტს შეადგენს, გეგმა კი მხოლოდ 14 პროცენტს ითვალისწინებს.

ამ წარმატებებში, უეჭველია, ჩვენი მოსამზადებელი საამქროს მშრომელებსაც მიუძღვით მნიშვნელოვანი წილი, სიამაყით გაიფიქრა ახალგაზრდა კომუნისტმა, მაგრამ ჯერ კიდევ რომ არის გადაუჭრელი პრობლემები, ეგრეთ წოდებული წარმოების „ვიწრო ადგილები“, მოკლეენები, შრომისა და საწარმოო დისციპლინის დარღვევები, ამ ფაქტებზე ბევრ ნაკლოვანებაზე ამ ბოლოს ... ბევრ ... ...

სიტყვა სინდისზე

სინდისზე და ადამიანობაზე ბევრი წერილი იბეჭდება. ბევრ მათგანი გულს ხვდება და ამშფოთებს, ბევრიც ყველასათვის ნაცნობებული ამბების უკბილო ანმეორებაა.

ნეგატიურ, ე. ი. უარყოფით ფენომენებთან ბრძოლა ყველაზე მოვლენებთან ბრძოლა წინარესად უეჭველად გულისხმობს სინდისის შინაგანი ხმის გაღვიძებას, ამოქმედებას და ამაღლებას.

სინდისის და მორალის საკითხები კაცობრიობას აღელვებს, ეხებს და აშფოთებს და, ცხადია, გულგრილნი ამ მხრივ ვერავინ დარჩებით.

მეცნიერებისა და ტექნიკის ეპარული მიღწევების დროს ყველასათვის ცხადი ხდება, რომ ეს სინდისი არ იქნა, ცხოვრება ეფექტიანი იქნება. უსინდისობა იწვევს უწესრიგობას და, პირიქით, უწესრიგობა — უსინდისობას.

ზრდა ბადებს სინდისს, უსინდისობა კი უსამართლობას, მუქთახარობას და ულირს ქცევას!

ყოველ ზრდას (ფიზიკურსა და გონებრივს) სინდისის ალშფოთებ უნდა ასდიოდეს, მაშინ იქნება იგი ნაყოფიერი, როგორც ადამიანობის, ისე ხალისის მიხედვით.

ბევრს ეწერ როგორც მშობიარეს, ისე უცნო ენებზე იმის შესახებ, რომ კაცობრიობის ბრივ მორალურად მტკიცე ადამიანი მეტია ბრძენ ადამიანზე. მაგრამ ზაზასმით უნდა ავღნიშნო, ეს უკანასკნელი დებულება ნაანარად არ ნიშნავს გონების ალისა თუ სიბრძნის გულგებელყოფას. არანაირ შემთხვევაში! ასხოვს, ჩემს ბავშვობაში გლეხის გაძარცვის ბოროტი განზრახვა ანი მანეთის გულისანის ელეს დაეცნენ ა მოკლეს), საუბედურად, ასე ვთქვათ, „გაალებული“ სოფლის ნაწყვლებლის გონებაში იშვა.

მტკიცედ უნდა გვაგონდეს, რომ ბოროტმოქმედება (ყაჩაღობა, ძარცვა, თავდასხმა, ქრთამი ნაგება, გამოძალვა და სხვა ულირი მოქმედება) არავითარ შემთხვევაში მხოლოდ ეკონომიკური ურთიერთობებით არ აიხსნება. არ გადაგა, რომ შიმშილის თუ სიღატაკის გამო ვინმე სჩადიოდეს ბოროტ ქცევას. შეიძლება, ეს ეს ჩემს ბორბებში წარმოდგენილია, უსმენს სინდისის შინაგან ხმას, ერიდება ბოროტებას ეს. პოულობს ეხვა გზას.

მინდა გავიხსენო შემთხვევა, ომლის შესახებაც ჩვენს პრესაში იყო ლაპარაკი: გასაგებია, შეილება შეიერმა და გაჭირვებულ ლუკმაპურისათვის 3-5 მანეთ მოიპაროს, მაგრამ რა ღმერთი ეწყრა ამ ულირსს, შეძლებულ ხანში შესულ ქალს, რომელიც არც ოაცია და არც აცხელა თავის სამშობლოს შვიდასი ასი მანეთი ასანაქცენა. მას ღმერთი და ეშმაკი კი არ გაუწყრა, ამედ სინდისი დაუყრუვდა და ებრძვადა.

ისტორიულად სინდისიერმა ტრიოტიზმმა ქართველ ერს თავისი სახე შეუნარჩუნა. მახსოვს, ეშვობდანვე ქართველი კაც

მყინვართა სამფლობელოში

ექსპედიცია თბილისში დაბრუნდა

როგორც უკვე ვიუწყებოდით, 1 აგვისტოს თბილისიდან გაემგზავრა გაზეთ „კომუნისტის“ მარუხის საძიებო-დაზვერვითი ახალგაზრდული ექსპედიცია, რომლის მიზანი იყო მოეძია 1942 წლის აგვისტო-დეკემბერში გერმანელ-ფაშისტთა წინააღმდეგ მარუხის უღელტეხილზე გამართული ბრძოლების ისტორიის ამსახველი მასალები. კერძოდ, მიეკვლიაო ჩვენს გაზეთში გამოქვეყნებული წერილის გმირის, თვრამეტი წლის ნიჭიერი მხატვრის ავთანდილ კაკაკო) თომაშვილის ნეშტისათვის.

ექსპედიციის შემადგენლობაში იყვნენ საქართველოს ვ. ი. ლენინის სახელობის პოლიტექნიკური ინსტიტუტის საინჟინრო ფიზიკის ფაკულტეტის სტუდენტი მალხაზ ჩემია, ამავე ინსტიტუტის არქიტექტურის ფაკულტეტის სტუდენტი გიორგი გელეიშვილი, თბილისის სამხატვრო აკადემიის ფერწერის რესტავრაციის ფაკულტეტის სტუდენტი ოთარ დეკანოსიძე და მოსკოვის ფიზიკურ-ტექნიკური ინსტიტუტის სტუდენტი ალექსანდრე ონოპრიენკო.

ამ დღეებში ექსპედიციის წევრები თბილისში დაბრუნდნენ. ქვემოთ გთავაზობთ ექსპედიციის ხელმძღვანელის მალხაზ ჩემიას დღიურის ამონაწერს:

გზა მარუხისაკენ

2 აგვისტო

დღეს სოხუმში ჩამოვედით. ქლუბორის მიმართულებით, „სამხრეთ საფრანში“ მიმავალ ავტობუსს გავყევით. მდინარე კოდორისა და ჩხალთის ხეობით ხუთი საათის მგზავრობის შემდეგ სოფელ ჩხალთაში ჩავედით. გზად შშვენიერი ადგილები გამოვიარეთ, დასანანია, რომ წვიმს.

ჩხალთიდან მანქანის მესამე მეკავე წყლებამდე მივყვებით. გზები ცუდია, კვლავ ცრის, მეკავე წყლებთან მრავალი დამსვენებელი და ტურისტი ამოდის, უყურებ გარემოს და ფიქრობ: რა შშვენიერი დასასვენებელი ადგილები გვაქვს გამოუყენებელი. ეს მხარე ხომ ბახმაროსა და ლებარდეს არაფრით ჩამოუვარდება.

მეკავ წყლებიდან რვა კილომეტრი ფეხით გავიარეთ. ზურგჩანთები დაახლოებით 30-35 კილოგრამს იწონის. ამას კიდევ პურებით სავსე მეხუთე ჩანთა დაემატა. ახლა კიდევ ფორმალინისა და ბენზინის ჭურჭელი. სიარული გვიძძიმს. დაბინდებისას ხიდთან კარავს ვშლით, ჩხალთაში ტურისტებისაგან მარუხის უღელტეხილის ზუსტი სქემა გადმოვიხაზეთ, მანქანას ველოდებით.

3 აგვისტო

მარუხისაკენ მიმავალ გზაზე, გეოლოგების ბანაკამდე 18 კილომეტრია. სამამულო ომის წლებში იქ 810-ე პოლკის შტაბის ტერიტორია ყოფილა და ამიტომ დღესაც შტაბს უწოდებენ. სიბინძურე ხიდთან ვდგავართ. პირველ ჩანაწერებს ვაკეთებთ.

მანქანის მოლოდინში ხიდზე მხნედ მიმავალი მოხუცი კაცი დავინახეთ. ეტყობოდა ადგილობრივი უნდა ყოფილიყო, გუდა ჰკიდია. დაბოვეხმაურეთ, საუბარზე მივიპატიჟეთ და თან მანქანის ამბავი გამოვკითხეთ. ხელი ჩამოგვართვა, გაგვეცინა. აფხაზი ვარო, მწყემსი, გვარად წვიება, 85 წელს გადაცილდიო, ამტყელის ტბის მიმართულებით ვარ წასასვლელიო. გზა გვასწავლა, გვითხრა: აქედან რვა კილომეტრ მანძილზე გეოლოგების მანქანა დგას და შუადღისთვის ბანაკისაკენ წავაო. ჩვენც დროს არ ვკარგავთ, საწრაფოდ გზას გავყევით და მანქანასაც მივუსწარით. თბილელი გეოლოგები ხელგაშლილი გვხვდებიან. კალმახებით გვიმასპინძლდებიან.

4 აგვისტო

გუშინ, დილიდან სამი-ოთხი საათის სიარულის შემდეგ, ჩანჩქერის ტერიტორიას მივადექით, გზად მწვანით შეფენილი მთები და კლდეებია. ვერც კი წარმოიდგენთ, რომ აქ 38 წლის წინათ ყველაფერი ჯოჯოხეთურ ალში ტრიალებდა.

ჩანჩქერის ტერიტორიაზე დგას მამა-შვილ ბექნუ და მამია გვიჩიანების ფარეხი. ისინი გულრიფშის რაიონის სოფელ განახლებიდან არიან, ბექნუ ძიამ და მისმა 12 წლის ძმისშვილმა გიამ მიგვიღეს. სახელდახელოდ დაგვაპურეს. ღუმელთან გაგვთბეს. ტანსაცმელი გაგვაშრობინეს.

ფერმის ოდნავ ქვევით, მდინარის პირას კარავს ვშლით. ვალაგებთ ნივთებს, ისევ ფერმაში ავდივართ, მალე მამიაც მოვიდა, გაგვეცნო. გვიჩიანებმა ჩვენი მიზანი რომ გაიგეს, შემოგვთავაზეს მათთან დაგვედო კარავი. ეს ტერიტორია მართლაც ხელს გვაძლევდა. აგესის მთის თითქმის ძირში ვართ, კილომეტრ-ნახევარში ჩანჩქერია, უფრო ზევით უღელტეხილის კარიბჭე მოჩანს, ამ სიმაღლიდან უღელტეხილისაკენ ქედი მიემართება, ხოლო მის მოპირისპირედ უფრო მაღალმწვერვალებიანი ქედია, შორს ქედის ბოლოს მარუხ-ბაში უნდა იყოს.

5 აგვისტო

ჩვენს გულკეთილ მასპინძლებთან ვართ. მამია სანტერესო ადგილების ჩვენებას გვპირდება. ბექნუ ძია გვიყვება, თუ როგორ დაიპყრო ქართველ ალპინისტებთან ერთად მარუხ-ბაში.

საღამო ხანს წვიმამ გადაიღო. მამიას თხების გამოსარეკად გავყევი, გზაში ტერიტორიას ვათვალიერებ და სამუშაო გეგმას ვადგენ. აქეთობისას, შემთხვევით დავციღლი მამიას და ჩანჩქერის თავისკენ დავეშვი. ფერდს ქვემოთ, ზედ ჩანჩქერის თავთან, მდინარის მარჯვენა ნაპირას პირდაპირ კლდეში ქვაბული შეენიშნე. შესასვლელი ეტყობოდა ადამიანის ხელით იყო ნაკეთები. მისმა გამოკვლევამ არაფერი შედეგი არ მოიტანა. ეტყობა წყალდიდობების დროს მას მდინარე ავსებს და რეცხავს.

ქოხში ვისაუბრეთ, მეორე დღის მარშრუტი დავგეგმეთ. აგესის მთის მისადგომები უნდა გამოვიკვლიოთ. მეუხეადავდ იმისა, რომ დავიღალეთ, განწყობილება შშვენიერი გვაქვს.

6 აგვისტო

დილიდან გოგი, საშა, ოთარი და მე ჩანჩქერს ქვემოთ ტერიტორიების შესწავლას შევუდექით, ჩვენი ცნობების თანახმად, ავთანდილ თომაშვილი ჩანჩქერის ქვედა ან ზედა წელზე მდებარე ერთ-ერთ მღვიმეში უნდა ჩაესვენებინათ. აღ. ნარსიას ნაამბობით, მღვიმე ან ნაპრალი, რომელშიც კაკო ჩასვენეს, მდებარეობდა მდინარის ახლოს (შესაძლოა შენაკადი მდინარისაც).

ი. პოდკოპაევი აღნიშნავს, რომ 3 ოქტომბრისათვის მეომართა დასაფლავება სამმო საფლავებში და ცალ-ცალკე ჩანჩქერის ქვემოთ ხდებოდა ხოლმე, მდინარის მარცხენა ნაპირზე. სამწუხაროდ, მარცხენა ნაპირი უფრო ვაკიანია, ვიდრე მარჯვენა და წყალი თავისუფლად ტბორავს.

ორ-ორად დავიყავით. ერთ კილომეტრ მანძილზე აგესის მთის ძირში ოთხი მღვიმეა დარჩენილი, შიგ აღარავითარი კვალი აღარ არის დარჩენილი, ყველა ადგილ მწყემსების დავლილია. კლდის ძირებში განლაგებული მღვიმეები ცარიელია. ქვის ნაშალება ძველია, მაგრამ ახალი ნაშალიც ეტყობა.

ჩვენდა გულდასაწყვეტად დღეკანდელმა დღემ ვერაფერი ვერ მოგვცა. ახლა მთის ძირებამდე მდინარე მარუხის შენაკადების პატარა ხეობებს უნდა შევეუყვეთ.

ღამით ქარი უღელტეხილიდან ზღვისკენ ქროდა. ბექნუ ძიამ მეორე დღეს მზიანი ამინდი გვიწინასწარმეტყველა. გადავწყვეტეთ, დილიდან აგესის მთის — შემოვლითი გზით გავსულიყავით, გვევლო ქედით და 808-ე და 810-ე პოლკების სახელობის უღელტეხილების გავლით მარუხის უღელტეხილზე ჩავსულიყავით.

ა. თოდუაშვილის სახელოვნის ტრაკერსი

7 აგვისტო

დილის 6 საათსა და 30 წუთზე მარშრუტზე გავედით. ამ მარშრუტს შეიძლება ტრავერსი ვუწოდოთ, მანძილი დაახლოებით 12 კმ-ია. გვინდა ეს ტრავერსი ავთანდილ თომაშვილისა და მისი თანამებრძოლების ხსოვნას მივუძღვნათ. ორი საათის სიარულის შემდეგ აგესის მთაზე ავედით, იგი ზღვის დონიდან ალბათ 3200 მ-ზე იქნება...

ნახევრად დაჟანგული შაშხანისა და ავტომატის მასრები, გათეთრებული, ქარისა და წვიმისაგან გამოხრული ადამიანის ძვლები, ტანსაცმლის, თოკების, კარვების დაძენძილი ნარჩენები, ფეხსაცმლის ლანჩები, კონსერვის დაჟანგული, გაცარეცილი ქილები. აქაიქ დაზგის ტყვიამფრქვევისა და ნაღმსატყორცნის დაჟანგული სადგარები და ლულები, ხელყუმბარის შალითები, ღილები... მთელი მარშრუტის მანძილზე უსიტყვოდ მიგვაცილებენ და ჩვენც დამძიმებული გულით გადავდივართ ჩვენს დაბადებამდელ ისტორიის ხანაში, საბჭოთა და გერმანელი სანგრები ყოველ 100 მეტრზეა განლაგებული. ადვილი საცნობია, თუ რომელ სანგარში ვინ იბრძოდა. საბჭოთა მეომრების სანგრებს პირი ჩრდილოეთისაკენ აქვთ, გერმანელებისას კი სპირისპიროდ... ერთ-ერთი ქვაბულიდან მთელი ხელყუმბარები და სხვადასხვა მასრები წამოვიღეთ. გოგი გერმანელთა სანგარში ედელვაისის ნიშანს წააწყდა.

დაახლოებით ორი კილომეტრის გავლის შემდეგ 808-ე პოლკის სახელობის უღელტეხილზე ვეშვებით. მოვხსენით 1976 წლის 13 აგვისტოს კიროვოგრადელ ტურისტთა მიერ დატოვებული წერილი და ჩვენი დავტოვეთ, სადაც აღვნიშნეთ, რომ ამ ტრავერსს ავთანდილ თომაშვილისა და მისი თანამებრძოლების ხსოვნას ვუძღვნით. ასევე 810-ე პოლკის სახელობის უღელტეხილსა და მარუხის უღელტეხილზე მსგავსი წერილები დავტოვეთ. იქიდან კი მოვხსენით 1980 წლის აგვისტოთი დათარიღებული ზაპოროჟიელთა და როვნოელთა წერილები. 808-ე და 810-ე პოლკის სახელობის უღელტეხილების გამყოფ მთას მხატვრის მთა ეუწოდეთ. უკვე საღამოვდება. გზა ისევ რთულია. ბინდისას მარუხის უღელტეხილზე დავეშვით და ბილიკით უკან ვბრუნდებით. გზაში ყველა მნიშვნელოვან მონაკვეთს სურათებს ვუღებდით, ოთარი ესკიზებს აკეთებდა. უღელტეხილზე მდგარ ობელისკებში საშამ თავის თანაქალაქელთა — კრივოროჟელთა მიერ დადგმული ობელისკი აღმოაჩინა. ბინაში შუალამისას დავბრუნდით.

8 აგვისტო

დღეს შუადღემდე დასვენების დღე მოვაწყეთ. სადილის შემდეგ უღელტეხილის კარიბჭისა და იმ სიმაღლის გამოსაკვლევად გავედით, სადაც თომაშვილი დაიღუპა. ი. პოდკოპაევის სიტყვით, ჯგუფი, რომელშიც კაკო იბრძოდა, მთელი ღამე მარუხ-ბაშის მარცხნივ მდებარე სიმაღლეზე ადიოდა. დილით გაჩაღდა ბრძოლა, სადაც კაკო მოკლეს. ეს ადგილი შევისწავლეთ. ვერაფერი ვნახეთ, გვერდითმა ცოცვებმაც არაფერი მოგვცა. ასე რომ, კვლავ იმედის გაცრუებაა.

საღამოს ბექნუ ძიამ გვითხრა, ნარჩენი იარაღის ძებნაში მწყემსებს ყველა ადგილი დავლილი აქვთ, სადაც კი წააწყდებოდნენ თუნდაც ორ ერთმანეთზე დადებულ ქვას, აუცილებლად გადმოატრიალებდნენ. მღვიმეებს კი მით უმეტეს ეტანებოდნენ, დაჟანგულ ნივთებსაც პოულობდნენ, ხოლო ძვლებს მარხავდნენ. ასე რომ, საბოლოოდ გადაგვიწერა იმედი. ერთადერთი შემთხვევითობა თუ გვიშველიდა. მამიამ თავის მხრივ კვირი დაუცრა და თქვა, უკვე ოცი წელია, რაც ამ გარემოს ყოველ კუთხე-კუნჭულში დავდივარ და ბევრი რამ ნაპოვნიც მაქვსო. გვამშვიდებენ, ადვილი შესაძლებელია რომელიმე მწყემსმა ავთანდილ თომაშვილის ნეშტი ისე მიაბარა მიწას, რომ ამისაცნობი ნივთები არც გაურკვევიაო.

დღის ბოლოს ჩვენი ქოხის გარშემო დაბანაკდნენ ტურისტული ჯგუფები სხვადასხვა რესპუბლიკიდან.

საღამოობით ჩვენც ცეცხლის გარშემო ვუერთდებოდით ტურისტებს, ვიღაცა გიტარაზე უკრავს, ვიღაცა ჩაის გაწვდის, ზოხარ მთელი დღის სიარულის შემდეგ დაღლილი (ცეცხლთან, შეჰყურებას ან თვალს გაუშტერებ ნაკვერცხალს და მარტო რჩები საკუთარ ფიქრებთან, თუნდაც ამ ორიოდე საათისთვის ღირს მთელი დღის წვალება.

9 აგვისტო

დილაადრიანად საშა და მე მარუხის უღელტეხილის ჩრდილოეთით აქსაუტის ხეობისაკენ გავედით, გოგი და ოთარი კი უღელტეხილს აქეთ დარჩნენ, ისინი კიდევ ერთხელ დაივლიან მიდამოს.

მარუხის უღელტეხილის გადავლის შემდეგ, საშ-ოთხ კილომეტრზე გლაციოლოგების ბაზაა. ამჟამად იქ დონისროსტოველთა ექსპედიცია იმყოფებოდა. ძირითადი ჯგუფი დაზვერვაზე იყო გასული, მხოლოდ მორიგეები ვნახეთ. ჩვენ გვაინტერესებდა გაგვიგო, მყინვარების მკვლევარნი შემთხვევით ხომ არ წასწყდომიან ჩვენთვის საინტერესო რაიმე ფაქტს. მათ გვიამბეს, რომ შარშან სხვა ჯგუფს უპოვია მყინვართან კლდის ნაპრალში გაყინული მეომრის გვამი, რომელიც ყარაჩაოსკენ ჩაუსვენებიათ. მეტი ვერაფერი ვერ გვითხრეს, მხოლოდ აგვიხსნეს, 38 წლის განმავლობაში ყინულის ნაპრალები იცვლება, ივსება და ახალიც ჩნდებაო.

მყინვარის ნაპირას დიდი ლოდის ქვეშ ნაღმსატყორცნის ნარჩენებს წავაწყდით. აქვე ვნახეთ გასროლილი და გაუსროლელი ნაღმები, ცარიელი მასრებით... სხვა აღარაფერი დარჩენილიყო იმ ბრძოლის მოწმე. დიდი სიფრთხილით წამოვიღეთ ერთი მთელი ნაღმი, შემდგომ შევფუთეთ და თბილისში რომ ჩავალთ, მთელს ჩვენ მონაკვეთ საომარ მასალას კომკავშრომის მუზეუმს გადავცემთ.

მყინვარით ვამთავრებთ ჩვენი ექსპედიციის საძიებო სამუშაოებს. სამუზეუმო იარაღის გარდა ვერაფერ მნიშვნელოვანს ვერ წავაწყდით, მაგრამ გული არ გვწყდება, ვიარეთ მამათა ნაკვალევით და ჩვენი თვალით ვნახეთ ომის ნაშთები.





სურათებზე: მარუხის უღელტეხილზე (მ. ჩემიას ფოტო); ო. დეკანოსიძის მარუხ-ბაშის ქიმი წყალგამყოფთან; ექსპედიციის მიერ ნაპოვნი ხაომარი ალმურვალლობა.

10 აგვისტო

წესრიგში მოგვყავს ჩვენი ნივთები, ვშლით კარავს. მამიაც ჩვენთან ატარებს წმოსვლას, ყველი აქვს სოხუმში ჩასატანი. ვსაუზმობთ. კიდევ ერთხელ ვავლებთ თვალს გარემოს. ვეთხოვებით ბექნუ ძიას, გიას. ორი ძმის ზურგჩანთა ავკიდეთ ყველთან ერთად მთის მუწლმაგარ ცხენს და ნელ-ნელა შევუყვეთ ბილიკს. გეოლოგების ბანაკში ბიჭებმა გამოგვკითხეს შედეგები, გვიმასპინძლეს და დაგვეშვიდობნენ.

12 აგვისტო

სოხუმში ვართ. ბილეთები აღებული გვაქვს. ზღვით გული ვიჯერეთ. მალე მატარებელი თბილისისაკენ წაგვიყვანს. ყველა განცდილ შთაბეჭდილებას კიდევ სასიამოვნო სიახლეები - ემატება. ვიხსენებთ ჩვენს კეთილ ადამიანებს...

10 აგვისტოს ღამე მანქანის ძარაზე გავათიეთ, გზაში ახლოს გავიცანით ჩვენი კეთილი მძღოლი გურამ კვარაცხელია, ახალგაზრდა მშრომელი კაცი. როცა მის შშობლიურ სოფელ წებელდას მივუახლოვდით, ცოტა ხნით სახლში მიგვიპატიჟა, პური გაგვატეხინა, საქმიანობა დაგვიოლიცა და გზას გაგვიყენა. საღამოთი ჩავედით მამიას სოფელ განახლებაში, არსად არ გვიშვებდა. მაინც დავუძვერით და ის საღამო სოხუმის ტურბაზაში გავათიეთ.

მარუხის ექსპედიციამ გაგვაცნო ბევრი კეთილი ადამიანი — ბექნუ ძია, გია, ჩვენი ძმადნაფიცი მამია, აფხაზი მწყემსი, გეოლოგი ბიჭები და გურამ კვარაცხელია. რა გვეთქმის გარდა მადლობისა. ვინც როგორ შეძლო, ისე გამოგვიწოდა ხმაში დახმარების ხელი, ხელი, რომელსაც არ ემტყუნება.

მალხაზ ჩემია.

სარედაქციო მინაწერი:

ჯერ კიდევ მაშინ, როცა ჩვენი ახალგაზრდები ექსპედიციაში მიდიოდნენ, დარდი გვქონდა მათი, სადმე ომისდროინდელ დანაღმულ ადგილს არ გადაბყოროდნენ, საგანგებოდ გავაფრთხილეთ კიდეც, თუ იარაღს შენიშნავდნენ სადმე, იმ ადგილს გასცლოდნენ, მაგრამ დაუდეგარია ახალგაზრდის ბუნება — ხიფათთან შერკინებაში პოულობს საკუთარი ძალების რწმენას.

და აი, ჩვენმა ბიჭებმაც მყინვარიდან გაუმსკდარი ნაღმი ამოიღეს, რომელიც იქ 38 წელი იდო, კონსერვის მოგრძო ქილები ერთმანეთზე გადაბეს, შიგ მიწა ჩაყარეს, ლეიკოპლასტირით ხვრელები დაუგმანეს და ზურგჩანთით თბილისში ჩამოიტანეს. ნაღმთან ერთად მათ მარუხის მყინვარებში მოპოვებული ხელყუმბარები და სხვა საომარი იარაღი რედაქციაში მოგვიტანეს საჩვენებლად. ჩვენც ინტერესით ვათვალიერებდით უკვე ჩაუანგებულ ომისდროინდელ იარაღს.

ფოტოკორესპონდენტმა ს. კილაძემ მათი სურათებიც გადაიღო და კიდევაც ვბეჭდავთ. მხოლოდ შემდეგ გავიგეთ, რომ ცეცხლს ვეთამაშებოდით და, ვინ იცის, ამ ამბავს რა მოჰყვებოდა, რომ არ დაგვსმარებოდნენ ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის მენაღმეები, რომლებმაც ნაღმი წაიღეს და ქალაქგარეთ ააფეთქეს.

ეცნობიან ქართულ წიგნს

ვილნიუსი. მრავალი დამთვალიერებელი მოვიდა ვილნიუსის რესპუბლიკურ ბიბლიოთეკაში, სადაც ქართული წიგნის გამოფენა გაიხსნა. ექსპოზიციაში ფართოდ არის წარმოდგენილი საზოგადოებრივ - პოლიტიკური, მხატვრული და საბავშვო ლიტერატურა, ნაწარმოებები, რომლებიც მოძმე რესპუბლიკის სახვითს ხელოვნებას აცნობენ ლიტველ მკითხველს. დამთვალიერებლები დიდი ინტერესით ეცნობიან წიგნის ილუსტრაციას.

სპეციალურ განყოფილებაში შეკრებილია ქართველ ავტორთა ნაწარმოებების ლიტვური თარგმანები. ომისშემდგომ წლებში ბალტიისპირა რესპუბლიკაში გამოიცა ქართული პროზის ორმოცზე მეტი ნაწარმოები, ქართული პოეზიის კრებულები, მათ შორის შოთა რუსთაველის უკვდავი პოემა „ვეფხისტყაოსანი“. (საკადესი).

ახალი ხიდი ენგურზე

ზუგდიდი. (საქ. კორ. გ. ნოდია). საყოველთაო სოციალისტურ შეჯიბრებაში აქვლავ წარმატებებს აღწევენ ენგურჰესისა და ხუდონჰესის მშენებლები, რომლებმაც მეათე ხუთწლედის დამამთავრებელი წლის იანვარ-ივლისის გეგმები გადაჭარბებით შეასრულეს. მშენებლობაზე დიდი ყურადღება ექცევა ასამოქმედებელი ობიექტის — რიგით მეზუთე მიწისქვეშა აგრეგატის ვადამდე ამუშავებას. ახლა მთელი გულისყური მის დამონტაჟებაზეა მიპყრობილი.

წარმატებით მიმდინარეობს კაშხალის ტანში ზემტკიცე ბეტონის ჩადება. მებეტონეები თავდადებით იბრძვიან იმისათვის, რომ ჯვარის წყალსაცავში მეხუთე აგრეგატის ასამოქმედებლად საჭირო წყლის მარაგი დაგროვდეს.

პარალელურად მიმდინარეობს ხუდონჰესის მოსამზადებელი სამუშაოები. ახლახან კიდევ ერთი ჯამარჯვება მოიპოვეს ენგურჰესისა და ხუდონჰესის მშენებლებმა: საზეიმო ვითარებაში გაიხსნა ხუდონჰესის მშენებლობის პირველი ობიექტი — ხიდი მდინარე ენგურზე. ხიდი გათვალისწინებულია უმძიმესი სატვირთო ავტომანქანებისა და მუხლუხა მექანიზმების ტრანსპორტირებისათვის. იგი „საქჰიდროპროექტის“ ინსტიტუტმა დააპროექტა. პროექტის ავტორები არიან მ. შტაერმანი და ო. კენჭოშვილი.

ხუდონჰესის მშენებლობისათვის მეტად საჭირო ხიდის დროულად და ხარისხოვნად აშენება იმის გარანტიას იძლევა, რომ ენგურჰესის მშენებლები წარმატებით დაამთავრებენ ხუთწლედს და ღირსეულად შეხვდებიან სკკპ XXVI და საქართველოს კომპარტიის XXVI ყრილობებს.

ქღერს მელოდიები

თბილისელ მელომანთა დიდი ინტერესი გამოიწვია რუმინეთის გრამფირფიტების დეკადამ, რომელიც ნორჩ ტექნიკოსთა სახლში გაიხსნა. იგი ეძღვნება ფაშისტური უღლისაგან რუმინეთის გათავისუფლების 36-ე წლისთავს.

გამოფენა-გაყიდვაზე წარმოდგენილია ოცდაათი ათასზე მეტი ფირფიტა, რომლებზეც ჩაწერილია ხალხური, კლასიკური და საესტრადო მუსიკა. მათ შორისაა ბუქარესტის ოპერის თეატრის წამყვან სოლისტთა ხმების ფონოგრამები, ცნობილი ნაწარმოებები რუმინეთის სახელმწიფო სიმფონიური ორკესტრის შესრულებით, ბოშური სიმღერები და რუსული რომანსები.

რუმინეთის გრამფირფიტის დეკადა მოაწყვეს საბჭოთა კავშირის გრამჩაწერის ფირმა „მელოდიამ“, საბჭოთა კავშირის საგარეო-საავჭრო ორგანიზაციამ „მეკედუნაროდნაია კნიგამ“ და რუმინეთის გრამჩაწერის ფირმამ, „ელექტრეკორდმა“.

რუმინული გრამფირფიტების გამოფენა-გაყიდვა 2 სექტემბრამდე გასტანს. (სექინფორმი).

ჭადრაკის დაფებთან

ბრძელდება სსრ კავშირის მოჭადრაკე ვაკთა 48-ე ჩემპიონატის შესარჩევი ტურნირები. გათამაშდა მეათე ტურის პარტიები. ამ ასპარეზობის მონაწილე საქართველოს სპორტსმენების შედეგი ასეთია:

დნეპროპეტროვსკი. სტურუა დამარცხდა იურტაევთან შეჯვედრაში, ხოლო აზმაიფარაშვილმა თავისი პარტია გაფადო. ლიდერობს ვასიუკოვი — 6,5 ქულა 9 შესაძლებლიდან. იურტაევს 6 ქულა აქვს ათიდან.

კრასნოდარი. უბილავამ შეჯვედრა გადაფო. აქ ლიდერობს ლუტუტიანი — 7 ქულა 10 შესაძლებლიდან.

კრასნოიარსკი. თბილისელმა გუფელდმა ყაიმით დაამთავრა შეჯვედრა ვასილოვსკისთან. დორფმანს 6,5 ქულა აქვს (ათიდან) და ლიდერობს. შემდეგნო ადგილებზე არიან ფა... ხისი (6 ქულა ცხრიდან), გუფელდი და კუზმინი (6-ა ქულა ათიდან).

ტალინი. მაია ჩიბურდანიძეს მოუგო შეჯვედრა ეინგორნს. დაწინაურდა ჩიბურდანიძე, რომელსაც 6,5 ქულა აქვს 10 შესაძლებლიდან. ოსნოსმა 6 ქულა დააგროვა (ათიდან), ხოლო ბრონშტეინმა 5,5 ქულა (ცხრიდან).

იტალიის ქალაქ აბანო-ტერმეში მიმდინარე მსოფლიო პირველობის პრეტენდენტთა ნახევარფინალური მატჩი პოლტიმსა და ჰიუბნერს შორის გრძელდება. რეიტერისა და ალის საგენტოებმა შეცდომით გადმოსცეს, რომ მეცხრე პარტია მოიგო ჰიუბნერმა. მეცხრეც და მეათე პარტიაც თურმე გადაიდო. ეს ორივე გადადებული პარტია ჰიუბნერმა საბოლოოდ მოიგო და ამის შემდეგ დაწინაურდა ანგარიშით 6:4.

ვეხიკოზი გრძელდება ბელგაზრდა მოჭადრაკეთა მსოფლიოს გუნდური ჩემპიონატი. სსრ კავშირის ნაკრები დამარცხა ჯერებლად ლიდერობს თავის ქვეჯგუფში და პრაქტიკულად ფინალში გასვლა გაინაღდა. სსრ ბჭოთა მოჭადრაკეებმა დაამარცხეს შოტლანდიის (3:1), შვეიცარიის (3,5-0,5) და ირლანდიისა რესპუბლიკის (4:0) ნაკრებები გუნდები.

სატურნირო ორბიტა

ველოსპორტი. სლოვაკეთის გზებზე დამთავრდა მრავალდღიანი ტრადიციული ველოსპორტული ბოლო, რომელშიც გაიმარჯვა ... მოიპოვა ი. შკოდამ (ჩეხოსლოვაკია). მან 1.212 კილომეტრი დაფარა 30 საათში, 54 წუთსა და 42 წამში. მეორე ადგილზე გამოვიდა საბჭოთა სპორტსმენი ს. სუხორუჩენკოი — 30 საათი, 59 წუთი და 4 წამი.

ბოკსი. ავსტრიის ქ. ინსბრუკში მიმდინარე ევროპის ჩემპიონთა თასის გათამაშებაზე მოსკოვის ცსკას ჰოკეისტებმა გაიმარჯვეს შვეიცის გუნდთან „მოდო-აიკთან“ ანგარიშით 7:1 ეს ლიდერები გახდნენ.

კალათბურთი. იუგოსლავიის ქ. ც�eში იუნიორთა ევროპის ჩემპიონატზე წარმატებით დაიწყო გამოსვლა საბჭოთა კავშირის იუნიორთა ნაკრებმა გუნდმა. იტალიელებთან შეხვედრაში, რომლებიც ოქროს მედლების ერთ-ერთ პრეტენდენტებად ითვლებიან გაიმარჯვეს ანგარიშით 94:85. იუგოსლავიელმა იუნიორებმა, რომლებიც ამავე ქვეჯგუფში გამოდიან, დამარცხეს შვეიცის ნაკრები ანგარიშით — 206:77. გფრ-ის ნაკრებმა დამარცხა თურქეთის ნაკრები — 87:85.

ტელევიზია

24 აგვისტო

პირველი პროგრამით: 09.00 — „ვრემია“ (მ.), 09.40 — საგელვეიზიო დოკუმენტური ფილმები „თეთრი ავგუსტი“, „ინგნოდეთ, ეს ბიბოქსარია“ (ფ.), 10.20 — „ბავშვებისათვის — „ისევ კატა და თაგვი“ (ფ.), 11.00 — — სამეცნიერო მეცნიერება: „სიცხლენი, პრობლემები“ (ფ.), 11.45 — მულტიპლიკაციური ფილმი, 12.00 — „ჯანმრთელობა“ — სამეცნიერო-პოპულარული პროგრამა (მ.), 12.45 — „კინოაგ ი ზ ა“, 13.15 — მოსწავლეთათვის — „კინეკერგი (ფ.), 13.45 — „კინონარკვევი, 14.00 — „ვესტნიკი“ (ფ.). 14.30 — ახალგაზრდობისათ ვ ი ს მათთვის, ვინც ვილშეა“, „ცინცერგი მე-3 შრომითი სემესტრის მონაწილეთათვის“, 15.05 — მულტიპლიკაციური ფილმი, 15.25 — „კინოს მოყვარულთათვის“, 16.55 — „მუსიკალური ფოსტა“ 17.40 — „კინომოგზაურობის კლუბი“ (მ.), 18.40 — „ბავშვურთხილდეთ ეროვნულ საუნჯეს“, 19.00 — „საერთაშორისო პანორამა“ (მ.), 19.45 — „ოლიმპიადა-80“. კინოდღიური — 1 აგვისტო (მ.), 20.05 — „მოამბე“ (ფ.), 20.35 — მხატვრული ფილმი „ფიდა“ (მ.), 22.00 — „ვრემია“ (მ.), 22.35 — ფეხბურთი საქართველოს თასზე. ფინალი (ფ.).

მეორე პროგრამით: 16.25 — ბავშვებისათვის — მხატვრული ფილმი „ალპაბისა სკოლაში მიდის“ (ფ.), 17.35 — ჩვენს დიდ სამშობლოში — საგელვეიზიო დოკუმენტური ფილმების პროგრამა „სარაგოვი“, „სორიოლ სოგდეია, სუდაკი“, „სიმფეროპოლი“ (ფ.), 19.00 — „თქვენი თხოვნით!“ — სასტუმრო „ფიალა“.

რედაქტორი
გ. ბედინეიშვილი

მხატვრის ღიმილი

ბ. დეისაძის ნახატები.

ილია



მზარეული

წარსულის ფურცლები

ადიგენის რაიონში, ზარზმიდან ოთხიოდე კილომეტრზე, მდინარე ქვაბლოვანის მარცხენა ნაპირზე, ხეხილის ბაღებით დამშვენებულ მთის ფერდობზე შეფენილ პატარა სოფელ ჭილაში, არცთუ ისე დიდი ხნის წინათ ცხოვრობდა 90 წლის გადაცილებული თმადათოვლილი, ტკბილმოუბარი მოხუცი ვარლამ სპირიდონის ძე ქაფიანიძე. იგი აქ თავისი ოჯახით ონის რაიონის სოფელ ნაკიეთიდან 1944 წლის დეკემბერში ჩამოსახლდა თანასოფელელებთან ერთად. ცოცხალი მატიანეაო, ამბობდნენ მასზე, ვარლამს ბევრი რამ უნახავს და გადახდენია, მაგრამ დიდ ილიასთან გატარებული დღეები ყველაზე ძვირფასი იყო.

ხალხთა მეგობრობის მუზეუმის არქივს გასულ წელს მრავალი მნიშვნელოვანი ფოტო და წერილობითი დოკუმენტი შეეძატა, თან შორის არის ილია ჭავჭავაძის ყოფილი მზარეულის ვარლამ ქაფიანიძის ფოტო, რომელიც დღეს დიდ აშეიათობად შეიძლება ჩითვალოს. ჩვენ წინაშეა სათნო მოხუცი (ქართული ქერძების მესაიდუმლე და დიდოსტატი), რომელსაც ილიას ნდობა და პატივისცემა დაუმსახურებია. მე პირადად ვიცნობდი ამაგდარ ბერიკაცს, ბევრი საინტერესო რამ მსმენია მისგან, განსაკუთრებით მომბიბვლელი მაინც ილიაზე ნაამბობი იყო:

— შრომა ადრე დავიწყე, მამამ თბილისში ერთ სომეს ვაჭართან მიმაბარა მოჯამაგირედ. მალე რუსეთში წავედი და იქ ჩვენებურ მზარეულებთან დავიწყე მუშაობა. რამდენიმე წელიწადში შევისწავლე მზარეულის ხელობა და ერთ ხანს რუსეთის სხვადასხვა ქალაქში ვმუშაობდი.

1904 წლის დამდეგს სოფლიდან წერილი მივიღე; ცოლის ავადმყოფობას მატყობინებდნენ. იძულებული გავხდი, სამსახურისათვის თავი დამენებებინა და შინ დავბრუნებულიყავი. ჩავედი სოფელ ნაკიეთში. მალე ჩემი მეუღლე უკეთ შეიქნა. ამის შემდეგ რუსეთში წასვლაზე აღარ მიფიქრია. სამსახურის საძებნელად ისევ თბილისს მივაშურე. ერთ დღეს ჩემთან მოვიდა ამხანაგი და მითხრა, ილია გაზეთში აცხადებს, მზარეული მჭირდებაო. ილიასთან „ივერიის“ რედაქციაში მივედი, თვითონაც იქ ცხოვრობდა.

შინ დამხვდა, კარგად მიმიღო, ხელი მხარზე გადამხვია და ისე შემოყვანა კაბინეტში. დავსხედით. ილიამ თავისებ